კონვენცია

ევროპისა და ხმელთაშუა ზღვის მცენარეთა დაცვის ორგანიზაციის შექმნის შესახებ

1951 წლის 18 აპრილი, საბჭოს 1955 წლის 27 აპრილის, 1962 წლის 9 მაისის, 1968 წლის 18 სექტემბრის, 1973 წლის 19 სექტემბრის, 1982 წლის 23 სექტემბრის, 1988 წლის 21 სექტემბრის და 1999 წლის 15 სექტემბრის შესწორებებითურთ

მუხლი I – მიზნები

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO)[1] მიერ მიღებული მცენარეთა კარანტინისა და დაცვის საერთაშორისო კონვენციის დებულებების შესაბამისად, ევროპისა და ხმელთაშუა ზღვის მცენარეთა დაცვის ორგანიზაცია (შემდგომში წოდებული ორგანიზაციად) იქმნება როგორც მცენარეთა კარანტინისა და დაცვის აღიარებული რეგიონალური ორგანიზაცია. ორგანიზაციის მიზნებია:

(a) მხარი დაუჭიროს წევრ მთავრობათა ძალისხმევას მცენარეთა ადეკვატური დაცვის უზრუნველყოფისათვის, ინავდროულად ცხოველებისა და ადამიანის, ასევე გარემოს დაცვისათვის;

(b) მავნე ორგანიზმებისაგან როგორც მცენარეების, ისე მცენარეული პროდუქტების დაცვის გაგრძელება და განვითარება, წევრ მთავრობათა შორის თანამშრომლობის მეშვეობით, აგრეთვე ამ მავნე ორგანიზმების საერთაშორისო გავრცელების და განსაკუთრებული საფრთხის რისკის მქონე ზონებმ მათი ინტროდუქციის თავიდან აცილება;

(c) საერთაშორისო დონეზე შეთანხმებული ფიტოსანიტარიული და იმ სხვა ოფიციალური ღონისძიებების შემუშავება, რომლებიც ეხება მცენარეთა კარანტინსა და დაცვას და საჭიროების შემთხვევაში, ამისათვის შესაბამისი სტანდარტების შექმნა.

(d) საერთაშორისო სტანდარტების, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, წევრ მთავრობათა კოლექტიური დასკვნების წარდგენა გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციაში, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში, მცენარეთა კარანტინისა და დაცვის სხვა რეგიონალურ ორგანიზაციებში, აგრეთვე მსგავსი პასუხისმგებლობის მქონე ნებისმიერ სხვა ინსტანციაში.

მუხლი II – განსაზღვრებანი

წინამდებარე კონვენციაში ქვემოთ მითითებულ ტერმინებს შემდეგი განსაზღვრება აქვს:

„ფიტოსანიტარიული რისკის ანალიზი": ბიოლოგიური ან სხვა სამეცნიერო და ეკონომიკური მონაცემების შეფასების პროცესი მავნე ორგანიზმის რეგულირების აუცილებლობის და მის წინააღმდეგ ფიტოსანიტარიული ღონისძიებების განსაზღვრის მიზნით;

„მავნე ორგანიზმი": მცენარის, ცხოველის ან მცენარეების ან მცენარეული პროდუქტებისათვის მავნე პათოგენური აგენტების ნებისმიერი სახეობა, ნაირსახეობა ან ბიოტიპი;

„საფრთხის რისკის მქონე ზონა": ზონა, რომელშიც ეკონომიკური ფაქტორები ხელს უწყობს იმ მავნე ორგანიზმის აკლიმატიზაციას, რომლის მოცემულ ზონაში არსებობა საგრძნობ ეკონომიკურ დანაკარგებს გამოიწვევს;

„ინტროდუქცია": მავნე ორგანიზმის შეღწევა, რასაც თან სდევს აკლიმატიზაცია;

---

[1] მცენარეთა კარანტინისა და დაცვის 1951 წლის 6 დეკემბრის საერთაშორისო კონვენციის VIII მუხლი; სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO)1997 წლის ნოემბრის კონფერენციის 29-ე სესიის 12/97 რეზოლუციით დამტკიცებული ამ კონვენციის ახალი გადასინჯული ტექსტის IX მუხლი.

„კარანტინული მავნე ორგანიზმი“: მავნე ორგანიზმი, რომელსაც პოტენციური ეკონომიკური მნიშნელობა აქვს საფრთხის რისკის მქონე ზონისათვის, რომელშიც იგი ჯერ არ არსებობს ან არსებობს, მაგრამ შეზღუდულადაა გავრცელებული და ოფიციალური ბრძოლის ობიექტს წარმოადგენს;

„საერთაშორისო სტანდარტები“: მცენარეთა მცენარეთა კარანტინისა და დაცვის საერთაშორისო კონვენციის შესაბამისად დადგენილი საერთაშორისო სტანდარტები;

„მცენარეები“: ცოცხალი მცენარეები და მათი ნაწილები,მათ შორის თესლი და გენეტიკური მასალა;

„მცენარეული პროდუქტი“: მცენარეული წარმომობის გადაუმუშავებელი მასალა (მათ შორის მარცვლეული), აგრეთვე გადამუშავებული პროდუქტები, რომლებმაც თავისი ბუნებით ან თავისი გადამუშავების ხერხით შეიძლება მავნე ორგანიზმების ინტროდუქციის და გავრცელების რისკი შექმნას;

„რეგიონალური სტანდარტები“: მცენარეთა კარანტინისა და დაცვის რეგიონალური ორგანიზაციების მიერ ამ ორგანიზაციების წევრებისათვის სახელმძღვანელოდ დადგენილი სტანდარტები;

„რეგულირებადი მავნე ორგანიზმი“ კარანტინული მავნე ორგანიზმი ან რეგულირებადი არაკარანტინული მავნე ორგანიზმი;

„რეგულირებადი არაკარანტინული მავნე ორგანიზმი“: კარანტინული მავნე ორგანიზმი, რომლის არსებობა სათესლე და სანერგე მასალაში ეკონომიკურად მიუღებელ ზემოქმედებას ახდენს ამ მცენარეთა სავარაუდო გამოყენებაზე ამის შედეგად რეგულირდება იმპორტიორი ქვეყნის ტერიტორიაზე;

„ფიტოსანიტარიული ღონისძიება“ კანონმდებლობა, რეგლამენტაცია ან ოფიციალური პროცედურა, მიმართული მავნე ორგანიზმების ინტროდუქციის ან გავრცელების თავიდან აცილებისათვის.

მუხლი III წევრობა

(a) ორგანიზაცია წევრებისათვის გახსნილია ქვემოთჩამოთვლილი სუბიექტებისათვის XX მუხლის დებულებების შესაბამისად მოცემულ კონვენციასთან მათი შეერთების გზით:

1. II დანართში მითითებულ ქვეყანათა მთავრობებისათვის;

2. ნებისმიერი ქვეყნის მთავრობისათვის, რომელიც ორგანიზაციის საბჭომ შეიძლება წევრად მიიწვიოს.

(b) ნებისმიერი იმ ტერიტორიის მთავრობა, რომლის მიმართაც XXI მუხლის დებულებათა შესაბამისად გაკეთდა განცხადება, შეიძლება ორგანიზაციის საბჭომ მიიღოს წევრად, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ იმ წევრის წინადადებით, რომელმაც ასეთი განცხადება გააკეთა, ნებისმიერ ასეთ გადაწყვეტილებას იღებს კენჭისყრის მონაწილეთა ორი მესამედის უმრავლესობა. ამრიგად მიღებულ ტერიტორიებს საბჭოს დასკვნის შესაბამისად უნდა შეეძლოთ ინდივიდუალურად და საკუთრივ გარკვეული წვლილი შეიტანონ ორგანიზაციის მუშაობაში.

მუხლი IV - შტაბბინა

(a) ორგანიზაციის შტაბბინა მდებარეობს პარიზში.

(b) ორგანიზაციის თათბირები, რომლებსაც ადმინისტრაციული ხასიათი აქვს, როგორც წესი შტაბბინაში იმართება.

მუხლი V - ფუნქციები

ორგანიზაცია ასრულებს შემდეგ ფუნქციებს:

(a) შეიმუშავებს:

1. მთლიანად მცენარეთა კარანტინსა და დაცვაში ფიტოსანიტარიული ღონისძიებების გამოყენების კარგი პრაქტიკის პრინციპებს;
2. რეგიონალურ სტანდარტებს;

(b) ხელს უწყობს:

1. მცენარეთა კარანტინისა და დაცვის ფიტოსანიტარიული და სხვა ოფიციალური ღონისძიებების ჰარმონიზაციას;
2. ფიტოსანიტარიული რეგლამენტაციებისა და სერტიფიკატების გამარტივებას და უნიფიკაციას;

(c) წევრ მთავრობათა კონსულტირებას შემდეგის თაობაზე:

1. რეგულირებადი მავნე ორგანიზმების ინტროდუქციის ან გავრცელების თავიდან აცილებისათვის საჭირო ტექნიკური ღონისძიებანი, კერძოდ, შემოწმების, ანალიზის, სერტიფიკაციის, დამუშავების, გამოკვლევის და ლიკვიდაციის მიმართ;
2. რეგულირებადი მავნე ორგანიზმების ინტროდუქციის ან გავრცელების თავიდან აცილებისათვის საჭირო ტექნიკური ადმინისტრაციული და საკანონმდებლო ღონისძიებანი, კერძოდ, ფიტოსანიტარიული რისკის ანალიზი, აგრეთვე რეგულირებადი მავნე ორგანიზმების ნუსხების შექმნა და შენარჩუნება;

3. ღონისძიებანი, რომლებიც საჭიროა, რათა მოახდინოს მცენარეთა დაცვის პრეპარატების რეგისტრაცია ან მათზე ნებართვის გაცემა, კონტროლი გაუწიოს მათ კომერციულ გასაღებას და გამოყენებას მათ ტერიტორიებზე მცენარეთა დაცვის კარგი პრაქტიკის პრინციპების შესაბამისად, აგრეთვე, შეძლებისდაგვარად, ინტეგრირებული ბრძოლის პრინციპების შესაბამისად;

(d) იქ, სადაც ეს პრაქტიკულად შესაძლებელია, კოორდინაცია გაუწიოს და სტიმული მისცეს მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო კამპანიებს, რომლებსაც წევრი მთავრობები აწყობენ;

(e) ხელი შეუწყოს თანამშრომლობას მავნე ორგანიზმებისა და მათთან ბრძოლის მეთოდების მიმართ სამეცნიერო კვლევის სფეროში, აგრეთვე შესაბამისი სამეცნიერო ინფორმაციის გაცვლის სფეროში;

(f) ინფორმაციის გავრცელება იმ გზით, რომ:

1. წევრი მთავრობებისაგან მიიღოს ინფორმაცია მავნე ორგანიზმების არსებობის, სწრაფი გამრავლების ან გავრცელების თაობაზე და ეს ინფორმაცია გადასცეს წევრ სახელმწიფოებს;
2. უზრუნველყოს ინფორმაციის გაცვლა ეროვნული ფიტოსანიტარიული კანონმდებლობით, რეგულირებადი მავნე ორგანიზმების ნუსხებით ან სხვა ღონისძიებებით, რომლებიც ეხება მცენარეების და მცენარეული პროდუქტების გადაადგილების თავისუფლებას;
3. შექმნას დოკუმენტაციებისა და ინფორმაცის სამსახურები, აგრეთვე სათანადო ფორმით გამოაქვეყნოს ის მასალები, რომლებიც განკუთვნილია ტექნიკური ან სამეცნიერო განვითარებისათვის;

(g) მიიღოს მთლიანად ყველა საჭირო და სასარგებლო ზომა ამ მიზნების მისაღწევად;

მუხლი VI - წევრ მთავრობათა მოვალეობანი

(a) წევრი მთავრობები ორგანიზაციას შეძლებისდაგვარად აწვდიან ინფორმაციას, რომელიც გონივრულ საფუძველზე შეიძლება იყოს მოთხოვნილი საკუთარი ფუნქციების განხორციელებისათვის, კერძოდ, V. (f)1 და V. (f)2 მუხლებში მითითებულ მონაცემებს.

(b) წევრი მთავრობები უნდა ისწრაფვოდნენ, დაიცვან ორგანიზაციის საბჭოს მიერ მოღებული რეკომენდაციები, კერძოდ რეგიონალური სტანდარტები.

მუხლი VII - ურთიერთობა სხვა ორგანიზაციებთან

წინამდებარე კონვენციის მიზნის მიღწევისათვის ორგანიზაციამ უნდა ითანამშრომლოს გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციასთან და მცენარეთა კარანტინისა და დაცვის სხვა რეგიონალურ ორგანიზაციებთან, მას შეუძლია ითანამშრომლოს აგრეთვე მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციასთან და სხვა ინსტანციებთან, რომლებსაც მსგავსი პასუხისმგებლობა აქვთ შესაბამისი საქმიანობის განხორციელებაში. ეს საქმიანობა მოიცავს მცენარეთა კარანტინისა და დაცვის მიმართ ფიტოსანიტარიული და სხვა ოფიციალური ღონისძიებების სტანდარტების დადგენას, აგრეთვე ორგანიზაციის რეგიონალური სტანდარტების მსოფლიო

სტანდარტების პროექტებად შესაძლო გარდაქმნას. ორგანიზაციამ ყოველი ღონე უნდა იხმაროს საქმიანობის დუბლირების თავიდან აცილებისათვის.

მუხლი VIII - ორგანიზაციის სტრუქტურა

ორგანიზაციის შემადგენლობაში შედის:

(a) საბჭო

(b) ადმინისტრაცია, რომელიც მოიცავს აღმასრულებელ კომიტეტს, გენერალურ დირექტორს და პერსონალს;

(c) ანგარიშების შემმოწმებელი კომისია

(d) ორგანოები, რომლებსაც საბჭო აფუძნებს XIII. (a)5 მუხლის შესაბამისად.

მუხლი IX - საბჭო

(a) ორგანიზაციის საბჭო შედგება წევრი მთავრობების წარმომადგენლებისაგან. ყოველ წევრ მთავრობას უფლება აქვს საბჭოში ერთი წარმომადგენელი და ერთი მოადგილე დანიშნოს. წევრ მთავრობათა მიერ დანიშნულ წარმომადგენლებსა და მოადგილეებს შეიძლება ჰყავდეთ თანაშემწეები და მრჩევლები.

(b) საბჭოში ყოველ წევრ მთავრობას ერთი ხმის უფლება აქვს.

მუხლი X - საბჭოს სესიები

(a) როგორც წესი, საბჭო მორიგ სესიაზე წელიწადში ერთხელ იკრიბება.

(b) საბჭოს საგანგებო სესია მოწვეულ უნდა იქნეს ნებისმიერ მომენტში. თუ წევრ მთავრობათა სულ ცოტა ერთი მესამედი ამის შესახებ წერილობითი სახით განცხადებას წარუდგენს თავმჯდომარეს.

მუხლი XI - წესები

საბჭო ადგენს ორგანიზაციის პროცედურების წესებს, აგრეთვე ორგანიზაციის ფინანსურ წესებს.

მუხლი XII - დამკვირვებლები

საბჭოს წევრთვით ნებისმიერი მთავრობა, რომელიც არ არის ორგანიზაციის წევრი, აგრეთვე ნებისმიერი სამთავრობოთაშორისი ორგანიზაცია, რომლის საქმიანობაც დაკავშირებულია ორგანიზაციის საქმიანობასთან, შეიძლება საბჭოს სესიაზე წარდგენილი იყოს ერთი ან რამდენიმე დამკვირვებლით კენჭისყრის უფლების გარეშე.

მუხლი XIII - საბჭოს ფუნქციები

საბჭოს:

(a) გამოაქვს გადაწყვეტილება მას შემდეგ, რაც განიხილავს:

1. გენერალური მდივნის ანგარიშს იმ პერიოდის განმავლობაში ორგანიზაციის მიერ განეული საქმიანობის შესახებ, რომელიც საბჭოს უკანასკნელი მორიგი სესიის შემდეგ გავიდა;
2. ორგანიზაციის მუშაობის მიმართულებებს და საქმიანობის პროგრამებს;
3. ბიუჯეტს;
4. ყოველწლიურ ანგარიშებს და საანგარიშგებო ბალანსს;

5. შექმნის და დაითხოვს ორგანიზაციის მუშაობის უზრუნველყოფისათვის დაფუძნებულ სპეციალურ ან მუდმივ ორგანოებს;

6. ამ ორგანოების ანგარიშებს;

7. აღმასრულებელი კომიტეტის მიერ წარმოდგენილ წინადადებებს;

(b) მართავს არჩევნებს წესდების დებულებათა თანახმად;
(c) ნიშნავს გენერალურ დირექტორს საბჭოს მიერ დადგენილი პირობებით;

მუხლი XIV - თავმჯდომარე და ვიცე-თავმჯდომარე

(a) საბჭო ირჩევს თავმჯდომარესა და ვიცე-თავმჯდომარეს წევრ მთავრობათა წარმომადგენელთაგან.

(b) თავმჯდომარესა და ვიცე-თავმჯდომარეს ირჩევენ სამწლიანი ვადით. მათ შეუძლიათ ხელმეორედ იყარონ კენჭი ახალ მანდატზე.

(c) თავმჯდომარე და ვიცე-თავმჯდომარე თავიანთ უფლებამოსილებებს ერთი და იმავე სახით ახორციელებენ საბჭოშიც და აღმასრულებელ კომიტეტშიც.

(d) არჩევის შემდეგ თავმჯდომარე და ვიცე-თავმჯდომარე აღარ წარმოადგენენ თავიანთ სახელმწიფოებს.

მუხლი XV - აღმასრულებელი კომიტეტი

(a) აღმასრულებელი კომიტეტი შედგება თავმჯდომარისა და ვიცე-თამვჯდომარისაგან, აგრეთვე საბჭოს მიერ არჩეული წევრი მთავრობების შვიდი წარმომადგენლისაგან.

(b) აღმასრულებელი კომიტეტის წევრთა მანდატი, როგორც წესი, სამი წლით განისაზღვრებადა ექვემდებარება ხელახლა არჩევას.

(c) იმ შემთხვევაში, თუ აღმასრულებელ კომიტეტში წარმოიქმნება ვაკანსია მანდატის ვადის ნორმალურ გასვლამდე, აღმასრულებელი კომიტეტი წევრ მთავრობებს სთავაზობს შეავსონ ეს ვაკანსია დარჩენილი ვადით.

(d) აღმასრულებელი კომიტეტი იკრიბება სულ ცოტა წელიწადში ერთხელ.

მუხლი XVI - აღმასრულებელი კომიტეტის უფლებამოსილება

აღმასრულებელი კომიტეტი:

(a) სთავაზობს საბჭოს ორგანიზაციის მუშაობის მიმართულებას და საქმიანობის პროგრამას;

(b) განიხილავს VII მუხლის შესაბამისად სხვა ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილ რეკომენდაციებს და ამ რეკომენდაციებიდან გამომდინარე წინადადებებს წარუდგენს საბჭოს;

(c) უზრუნველყოფს ორგანიზაციის საქმიანობის შესაბამისობას საბჭოს გადაწყვეტილებებთან;

(d) წარუდგენს საბჭოს ბიუჯეტის პროექტს, აგრეთვე ყოველწლიურ ანგარიშებს და ბალანსებს;
აღმასრულებელ კომიტეტს შეუძლია დაამტკიცოს დროებითი ბიუჯეტი, რომელიც ძალას ინარჩუნებს საბჭოს მიერ მის განხილვამდე;

(e) ასრულებს სხვა ისეთ ამოცანებს, რომლებიც შეიძლება ევალებოდეს მას წინამდებარე კონვენციის შესაბამისად, ან რომლების საბჭომ შეიძება მას დაავალოს;

(f) ამტკიცებს თავის საკუთარ პროცედურებს.

მუხლი XVII - გენერალური დირექტორი:

(a) სათავეში უდგას ორგანიზაციის სამდივნოს, რომელიც ფუნქციონირებს მისი პასუხისმგებლობით;

(b) ახორციელებს საბჭოს მიერ დამტკიცებულ პროგრამას, აგრეთვე მოცანებს, აგრეთვე ამოცანებს, რომლებსაც აღმასრულებელი კომიტეტი ავალებს;

(c) საბჭოს ყოველ მორიგ სესიაზე წარუდგენს ანგარიშს ორგანიზაციის საქმიანობისა დ ფინანსური სიტუაციის შესახებ.

მუხლი XVIII - ფინანსური საკითხები

(a) ორგანიზაციის ხარჯები იფარება წევრ მთავრობათა ყოველწლიური შენატანებით, აგრეთვე საბჭოს ან აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილი სხვა შემოსულობებით.

(b) წევრ მთავრობათა შენატანების სიდიდე განისაზღვრება I დანართში მოყვანილი შენატანების სკალით.

(c) კონვენციასთან შეერთების შემდეგ ახალი წევრი მთავრობები შეაქვთ I დანართში მოყვანილი ცხრილის შესაბამის კატეგორიაში იმ შემთხვევაში, თუ ისინი უკვე არიან გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის წევრები. წინააღმდეგ შემთხვევაში საბჭო იღებს გადაწყვეტილებას მათი კატეგორიის შესახებ. I დანართი და I დანართში მოყვანილ ცხრილში წევრ მთავრობათა კატეგორია შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ წევრ მთავრობათა ორი მესამედის უმრავლესობით მიღებული საბჭოს გადაწყვეტილებით.

(d) აღმასრულებელი კომიტეტის რეკომენდაციით საბჭოს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება I დანართით განსაზღვრული საბაზო შენატანის მიმართ გამოიყენოს შესწორებითი კოეფიციენტი ორგანიზაციის საქმიანობასთან ან შექმნილ ეკონომიკურ სიტუაციასთან მისი ადაპტაციის მიზნით. ამასთან გადაწყვეტილება მიიღება კენჭისყრის დამსწრე და მონაწილე წევრ მთავრობათა ორი მესამედის უმრავლესობით.

(e) ყოველწლიური შენატანების გადახდა ხდება ორგანიზაციის ფინანსური წლის დასაწყისში.

(f) აღმასრულებელი კომიტეტი განსაზღვრავს იმ ვალუტას, რომელშიც ხდება შენატანის გადახდა, საამისოდ დაინტერესებულ წევრ მთავრობათა თანხმობის პირობით.

(g) ახალი წევრი მთავრობა იხდის თავის პირველ ყოველწლიურ შენატანს იმ ფინანსური წლისათვის, რომლის განმავლობაშიც მისი შეერთება ძალაში შევიდა XX მუხლის პირობების შესაბამისად.

(h) ცალკეული მთავრობები ან მთავრობათა ჯგუფები დამატებით შენატანებს იხდიან კონტროლის განსაკუთრებული პროექტების ან კამპანიებისათვის, რომლებსაც ორგანიზაცია შეიძლება ახორციელებდეს ამ მთავრობების ან მთავრობათა ჯგუფების ინტერესებისათვის.

(i) ანგარიშების დამთვლელ კომისიას, რომელიც სამი წევრი მთავრობის წარმომადგენელთაგან შედგება, საბჭო ირჩევს. ამ კომისიის წევრებს სამწლიანი ვადით ირჩევენ და ისინი შემდგომი სამი წლის ვადაში არჩეული ვერ იქნებიან.

(j) აღმასრულებელი კომიტეტი საბჭოს თანხმობით ნიშნავს აუდიტორს ორგანიზაციის ანგარიშების ყოველწლიური შემოწმებისათვის.

(k) ანგარიშების შემმოწმებელი კომისია ყოველწლიურად აუდიტორთან ერთად განიხილავს ორგანიზაციის ანგარიშებს ყოველწლიური შემოწმებისათვის.

მუხლი XIX - შესწორებები

(a) წინამდებარე კონვენციის და I დანართის შესწორებების შესახებ წინადადებათა ტექსტს გენერალური დირექტორი წევრ მთავრობებს უგზავნის საბჭოზე მათ განხილვამდე სულ ცოტა სამი თვით ადრე.

(b) კონვენციის შესწორებები ძალაში შედის დამსწრე და კენჭისყრის მონაწილე წევრების ორი მესამედის უმრავლესობით საბჭოს მიერ დამტკიცების შემდეგ, თუ ეს შესწორებები იწვევს წევრი მთავრობებისათვის ახალ ვალდებულებებს (ქვემოთ (g) პუნქტით გათვალისწინებული I დანართის შესწორებების გამოკლებით), თითოეული მათგანი კონკრეტული მთავრობისათვის ძალაში შედის მხოლოდ ამ სახელმწიფოს მიერ მისი მიღების შემდეგ.

(c) I დანართის შესწორებებს საბჭო იღებს წევრ მთავრობათა ორი მესამედის უმრავლესობით.

(d) შესწორებების მიღების შესახებ შეტყობინება ეგზავნება საფრანგეთის მთავრობას, რომელიც ყველა წევრ მთავრობას აცნობებს თანხმობის მიღების შესახებ, აგრეთვე სხვადასხვა შესწორებების ძალაში შესვლის შესახებ.

მუხლი XX - ხელმოწერა და შეერთება

(a) წინამდებარე კონვენცია ხელმოსაწერად და შესაერთებლად ღია იმ მთავრობათათვის, რომლებიც მისი წევრები ხდებიან III მუხლის დებულებათა შესაბამისად შემდეგ შემთხვევებში:

1. დათქმის გარეშე ხელმოწერით, ასევე რატიფიცირებით, მიღებით ან დამტკიცებითას;
2. ხელმოწერით, რომელსაც თან სდევს რატიფიკაცია, მიღებაან დამტკიცება;
3. შეერთებით.

(b) რატიფიკაციის, მიღების, დამტკიცების, აგრეთვე შეერთების ინსტრუმენტები საფრანგეთის მთავრობას წარედგინება. იგი ყველა წევრ მთავრობას ატყობინებს თარიღს, თითოეული ხელმოწერის ან ინსტრუმენტის დეპონირების შესახებ.

მუხლი - XXI

(a) ყოველ მთავრობას შეუძლია ნებისმიერ მომენტში გააკეთოს განცხადება იმის თაობაზე, რომ მისი მონაწილეობა კონვენციაში მოიცავს მთელ ტერიტორიას ან მის მხოლოდ ნაწილს, რომელთან მიმართებითაც საერთაშორისო ურთიერთობები მის პასუხისმგებლობას ექვემდებარება. ასეთი განცხადება საფრანგეთის მთავრობას წარედგინება.

(b) წევრი მთავრობის მიერ წინა ქვეპუნქტის შესაბამისად გაკეთებული ნებისმიერი განცხადება ძალაში შედის საფრანგეთის მთავრობის მიერ მისი მიღებიდან ოცდამეათე დღეს.

(c) საფრანგეთის მთავრობა დაუყოვნებლივ ატყობინებს კონვენციის წევრ ყველა მთავრობას იმ განცხადებების შესახებ, რომლებიც წინამდებარე მუხლის შესაბამისად გაკეთდა.

მუხლი XXII - კონვენციიდან გამოსვლა

(a) მონაწილეობის ორი წლის შემდეგ ნებისმიერ წევრ მთავრობას შეუძლია ნებისმიერ დროს გავიდეს წინამდებარე კონვენციიდან საფრანგეთის მთავრობისათვის გასვლის შესახებ შეტყობინების გაგზავნის გზით. გასვლა ძალაში შედის აღნიშნულის შესახებ შეტყობინების მიღების თარიღიდან ერთი წლის შემდეგ.

(b) ერთმანეთის მიყოლებით ორი ყოველწლიური შენატანის გადაუხდელობა, როგორც წესი, ჩაითვლება კონვენციიდან იმ წევრი მთავრობის გასვლის პირობად, რომელიც ამგვარად არ ასრულებს თავის ვალდებულებებს.

(c) XXI მუხლის შესაბამისად ერთი ან რამდენიმე ტერიტორიისადმი კონვენციის გამოყენება შეიძლება შეწყდეს საფრანგეთის მთავრობისადმი იმ წევრი მთავრობის მიერ შეტყობინების გაგზავნის გზით, რომელიც პასუხისმგებელია ასეთი ტერიტორიის ან ტერიტორიებთან დაკავშირებული საერთაშორისო ურთიერთობისათვის. შეტყობინება ძალაში შედის მისი მიღებიდან ერთი წლის შემდეგ.

(d) საფრანგეთის მთავრობა დაუყოვნებლივ ატყობინებს კონვენციის წევრ ყველა მთავრობას იმ განცხადებების შესახებ, რომლებიც წინამდებარე მუხლის შესაბამისად გაკეთდა.

მუხლი XXIII - ძალაში შესვლა

(a) წინამდებარე კონვენცია ძალაში შედის იმ თარიღიდან, როდესაც ხუთი მთავრობა ხდება კონვენციის წევრი XX მუხლის დებულებათა შესაბამისად.

(b) საფრანგეთის მთავრობა ძალაში შესვლის თარიღს დაუყოვნებლივ აცნობებს ყველა მთავრობას, რომელმაც ხელი მოაწერა კონვენციას ან შეუერთდა მას.

(c) ყოველი მთავრობისათვის, რომელმაც რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების, ან შეერთების ინსტრუმენტები წარადგინა, ამ მუხლის (a) ქვეპუნქტის შესაბამისად კონვენციის ძალაში შესვლის შემდეგ, იგი ძალაში შედის იმ თარიღიდან, როდესაც აღნიშნული მთავრობა მოახდენს რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების, ან შეერთების შესახებ თავისი ინსტრუმენტების დეპონირებას.

დანართი I
ყოველწლიური შენატანების ცხრილი

გამოხატული ფრანგულ ფრანკებში და წარმოებული საბჭოს მიერ 1968 წლის 18 სექტემბერს მიღებული სკალისგან იმ წილის საფუძველზე, რომელსაც წევრი სახელმწიფოები იხდიდნენ გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) 1966-1967 წლების ბიუჯეტში.

(იხ.მუხლი XVIII)

კატეგორია	FAO-ს გადასახადების წილი პროცენტებში	ყოველწლიური შენატანები ფრანგულ ფრანკებში
1	0,01 ზე ნაკლები	4 590
2	0,01-0,15	9 180
3	0,16-0,45	13 770
4	0,46-0,75	18 360
5	0,76-1,35	22 950
6	1,36-2,00	27 540
7	2,01-2,50	32 130
8	2,51-5,00	36 720
9	5,01-7,50	41 310
10	7,51-10,00	45 900

დანართი II

a. კონვენციასთან შეერთებისათვის 1951 წელს მიწვეული ხმელთაშუა ზღვის რეგიონის ქვეყნები

ავტრია
ალბანეთი
ბელორუსია, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა
ბელგია
ბულგარეთი
გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა
დანია
ეგვიპტე
ესპანეთი
თურქეთი
ისრაელი
ირლანდია
ისლანდია
იტალია
იუგოსლავია
ლიბანი
ლიხტენშტეინი
ლუქსემბურგი
მონაკო
ნიდერლანდები
ნორვეგია
პოლონეთი
პორტუგალია
რუმინეთი
საბერძნეთი
სან-მარინო
საფრანგეთი (აგრეთვე ალჟირის, ტუნისისა და მაროკოსათვის)
სირია
საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი
უკრაინა, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა
უნგრეთი
ფინეთი
გაერთიანებული სამეფო
შვეიცარია
შვედეთი
ჩეხოსლოვაკია

b. საბჭოს მიერ კონვენციასთან შეერთებისათვის 1996 წელს მიწვეული ქვეყნები

აზერბაიჯანი
ბოსნია და ჰერცოგოვინა
თურქმენეთი
იორდანია
იუგოსლავია (საკავშირო რესპუბლიკა)
ლიბია
ლიტვა
მოლდოვა
საქართველო

სომხეთი
ტაჯიკეთი
უზბეკეთი
ყაზახეთი
ყირგიზეთი
ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონია

ორიგინალი ტექსტის ხელმოწერები

რის დასტურადაც თავიანთი მთავრობებისაგან საამისოდ სათანადოდ უფლებამოსილმა ქვემორე ხელმომწერებმა ხელი მოაწერეს წინამდებარე კონვენციას და მის დანართებს.

შესრულებულია პარიზში 1951 წლის 18 აპრილს ერთ ეგზემპლარად, რომელიც შეინახება საფრანგეთის მთავრობის არქივებში (*)

დანიის სახელით	*Halvor Skov*
	P.Bovien
ბელგიის სახელით	*Guillaume H. Van Orshoven*
ესპანეთის სახელით	*Miguel Benlloch*
საფრანგეთის სახელით	*R.Protin*
ირლანდიის სახელით	*D.Delaney*
იტალიის სახელით	*A.Melis*
ლუქსემბურგის სახელით	*E.Wirion*
ნიდერლანდების სახელით	*C.J. Briejer*
პორტუგალიის სახელით	*Francisco Aranha*
გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სახელით	*H.Drees*
გაერთიანებული სამეფოს სახელით	*J.Hensley*
შვეიცარიის სახელით	*A.Chapponier*
იუგოსლავიის სახალხო ფედერაციული	*G.Nonveiller*
რესპუბლიკის სახელით	
ავსტრიის სახელით	*F.Beran*
საბერძნეთის სახელით	D.Koulopoulos

ეგზემპლარი დამოწმებულია ორიგინალის შესაბამისად, რომელიც საფრანგეთის რესპუბლიკის არქივებში ინახება.

უფლებამოსილი მინისტრი
პროტოკოლის სამსახურის უფროსი

ედუარდ დე ლა შოვინიერი

(*) საფრანგეთის მთავრობაში დეპონირებულია აგრეთვე: კონვენციის ტექსტის ყოველი გადასინჯული გამოცემის სტამბური ეგზემპლარი, მათ შორის ორგანიზაციის საბჭოს მიერ შემდეგ თარიღებში მიღებული შესწორებანი: 1955 წლის 27 აპრილს, 1962 წლის 9 მაისს, 1968 წლის 18 სექტემბერს, 1973 წლის 19 სექტემბერს, 1982 წლის 23 სექტემბერს, 1988 წლის 21 სექტემბერს და 1999 წლის 15 სექტემბერს.

ევროპისა და ხმელთაშუა ზღვის მცენარეთა დაცვის ორგანიზაცია

წევრი სახელმწიფოები

და კატეგორია I დანართისათვის

1999 წლის 14 სექტემბრისათვის

ქვეყანა	კატეგორია
ავსტრია	4
ალბანეთი	2
ალჟირი	2
ბელორუსია	2
ბელგია	6
გერმანია	10
გერნსეი	2
საბერძნეთი	3
დანია	5
ჯერსი	2
ისრაელი	3
იორდანია	5
ირლანდია	8
ესპანეთი	2
იტალია	2
კვიპროსი	1
ყაზახეთი	2
ლატვია	2
ლიტვა	2
ლუქსემბურგი	2
მაკედონია	2
მაროკო	2
ნიდერლანდები	6
ნორვეგია	4
პოლონეთი	6
პორტუგალია	3
რუსეთის ფედერაცია	9
რუმინეთი	4
სერბეთი და ჩერნოგორია	2
სლოვაკეთი	2
სლოვენია	2
გაერთიანებული სამეფო	10
ტუნისი	2
თურქეთი	4
უზბეკეთი	2
უკრაინა	6
ფინეთი	4
საფრანგეთი	10
ხორვატია	2
ჩეხეთის რესპუბლიკა	3
შვეიცარია	5

შვედეთი	6
ესტონეთი	2

0154/L-15
24.06.2015
MONTREAL